ცვლილება დამტკიცებულია
შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის
აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი №04
„10“ 04 2020წ.

რექტორი, პროფესორი: _____ მარინა ფიფიცხალავა

საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია

1. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ შესრულებულ შემაჯამებელ სამუშაოს, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა აკადემიური პროგრამის დასრულების ბოლოს და დაიცვას საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის ღია სხდომაზე.
2. ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონის, შემოქმედებითი და კვლევითი უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
3. საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.
4. ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი ფაკულტეტის მიერ გამოყოფილი აკადემიური პერსონალიდან.
5. ნაშრომის ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში. ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, გამოთქვამს შენიშვნებს და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში ეხმარება ავტორს მის კორექციაში. ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს დასკვნას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
   ა) ნაშრომის დასათაურებას;
   ბ) ავტორის ვინაობას;
   გ) ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;
   დ) ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შენიშვნებისა და რეკომენდაციების მინიშნებით;
   ე) ავტორის შრომისუნარიანობისა და სხვა უნარ-თვისებების ხარისხის აღნიშვნას;
   ვ) ნაშრომის ზოგად შეფასებას;
   ზ) პირად აზრს ბაკალავრის ხარისხის მინიჭება არ მინიჭების შესახებ.
6. საბაკალავრო ნაშრომისათვის გათვალისწინებულია 14 კრედიტი.

7. საბაკალავრო ნაშრომის თემების ნუსხას ფაკულტეტი აქვეყნებს მე-8 სემესტრის დასაწყისში, ხოლო მე-13 კვირის დასაწყისში ამტკიცებს სტუდენტის მიერ არჩეულ საბაკალავრო თემას და ხელმძღვანელს. სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს მე-17 კვირის ბოლოს დასრულებული სახით წარადგენს დეკანატში. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შესრულებული ნაშრომის ანტიპლაგიატის სისტემაში შემოწმებას, „პლაგიატის აღმოჩენის და რეაგირების წესის" შესაბამისად. ხელმძღვანელის დადებითი შეფასების შემთხვევაში მე-18 კვირის ბოლოს ხდება ნაშრომის წინასწარი განხილვა კომისიის წინაშე. მე-20 კვირას ხდება საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა.

8. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის იქმნება საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 წევრისაგან, კომისიის სხდომის მსვლელობასა და შედეგებზე დგება საბოლოო ოქმი.

9. კომისიას წარედგინება საბაკალავრო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი.

10. ნაშრომის საჯარო დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება 10 წუთით.

11. დაცვის პროცესში ბაკალავრს შეუძლია საილუსტრაციო მასალის გამოყენება.

12. დიპლომის დანართში საბაკალავრო ნაშრომი შედის, როგორც ცალკე პუნქტი და ფასდება, როგორც სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო კომპონენტი.

13. დაცვის საპატიო მიზეზით გადავადება შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მოთხოვნის საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით.

საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესი

1. საბაკალავრო ნაშრომი უნდა იყოს შესრულებული A4 ზომის ფურცელზე, მოცულობით არა ნაკლებ ნაბეჭდი 30 გვერდისა. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს სტანდარტული შრიფტით (AcadNusx, Litnusx, Sylfaen.) ნაშრომის ძირითადი ტექსტის ზომა - 12, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 14. სტრიქონებს შორის მანძილი 1,5; გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ.

2. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:

- **თავფურცელი** - საბაკალავრო ნაშრომის პირველი გვერდი (იხ. დანართი 1);
- **ანოტაცია** - (არაუმეტეს ერთ გვერდზე) უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას;
- **შესავალი** - ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალურობა, მიზნები და დასმული ამოცანა (ამოცანები); საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები (ექსპერიმენტული კვლევის შემთხვევაში);
- **ნაშრომის ძირითადი ნაწილი** - შეიძლება დაიყოს თავებად და პარაგრაფებად; ნაშრომს შეიძლება დაერთოს სქემები, ცხრილები , ნახაზები.
- **დასკვნა** - უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის შედეგებს;

- **გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა** - წარმოდგენილი უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ მიეთითება გამოცემები ქართულ ენაზე. შემდეგ კი უცხო ენებზე. სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას სახელდება ავტორის გვარი და ინიციალები (ავტორების), ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, გვერდები. წიგნის ან მონოგრაფიის მითითების შემთხვევაში ჯერ სახელწოდება, შემდეგ ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, გამომცემლობა, გამოცემის წელი.
- **ინტერნეტის გამოყენების** შემთხვევაში მიეთითება: მასალის ავტორი, ვებ-გვერდის ავტორი, მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით, ვებ-გვერდის მისამართი, მასალის მოძიების თარიღი.
- **სარჩევი** - საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს. მასში უნდა აისახოს ნაშრომის ყველა თავის, ქვეთავისა და პარაგრაფის დასახელება გვერდების ნომრების მითითებით. გვერდების ნომრები განთავსდება მარჯვენა მინდორთან.
- **ნაშრომის ყველა გვერდი** უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის გამოტოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. ინომრება ყველა გვერდი გარდა თავფურცელისა.
- ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში (როგორც წესი აბზაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში არაბული ციფრებით. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნეს მოყვანილი ნაშრომის ბოლოს.
- **სქოლიო** შეიძლება განთავსდეს გვერდის ბოლოს, შრიფტის ზომა 10pt. ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით.
- **დანართები** (საჭიროების შემთხვევაში). დანართში განთავსდება ცხრილები, ნახაზები, პროგრამები, გაანგარიშებები, დიაგრამები და ა.შ.
- **სახელისუფლებო დოკუმენტების** გამოყენების შემთხვევაში: ქვეყნის დასახელება, უწყების დასახელება რომელთაც ეკუთვნის დოკუმენტი, დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი) წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა დოკუმნეტი, დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წელის მონიშნებით.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება

1. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) **ფრიადი** –მაქსიმალური შეფასების 91% –100%;

ა.ბ) (B) **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;

ა.გ) (C) **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;

ა.დ) (D) **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 %.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) **ვერ ჩააბარა**– მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) **ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საბაკალავრო ნაშრომი ახლიდან აქვს შესასრულებელი.

საბაკალავრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და ხელმძღვანელი და საბაკალავრო ნაშრომი დაიცვას კომისიის წინაშე შემდეგ სასწავლო წელს.

2. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:
- საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა -60 ქულა;
- საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა- 40 ქულა.

3. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს, საბაკალავრო ნაშრომის წინასწარ განხილვაზე დაგროვილი უნდა ჰქონდეს მინიმუმ 30 ქულა.

4. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება კომისიის წევრთა მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით.

5. შეფასების კრიტერიუმები:

საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა (ტარდება მე-18 კვირას)-ფასდება 60 ქულით შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. თემის სიახლე და აქტუალურობა - 20 ქულა;
2. საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია -10 ქულა;
3. საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი -10 ქულა;
4. პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა -10 ქულა;
5. ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა (ტარდება მე-20 კვირას)- ფასდება 40 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. წარმოდგენილი ნაშრომის აგებულება -10 ქულა;
2. პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 5 ქულა;
3. მსჯელობა, კითხვებზე, და შენიშვნებზე გაცემული პასუხი - 15 ქულა.
4. პრეზენტაციის ვერბალური მხარე - 10 ქულა;

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით.

საბაკალავრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.
საბაკალავრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება იმავე სემესტრში. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

საბაკალავრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და ხელმძღვანელი და საბაკალავრო ნაშრომი დაიცვას კომისიის წინაშე შემდეგ სასწავლო წელს.

6. სტუდენტს დამატებით საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

7. კომისია ადგენს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების შემაჯამებელ ოქმს და ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე. ოქმს თან უნდა ერთვოდეს ხელმძღვანელის, რეცენზენტის შეფასებები და ასევე კომისიის მიერ დაწერილი საბოლოო შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

8. კომისიის დადებითი გადაწყვეტილება არის საფუძველი კურსდამთავრებულზე ბაკალავრის დიპლომის გაცემისათვის;

9. უნივერსიტეტის ბაკალავრის დიპლომი წარმოადგენს მოქმედი სტანდარტების დაცვით გაფორმებულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს საქართველოში უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის _ ბაკალავრიატის დამთავრებას.

10. კურსდამთავრებულზე ბაკალავრის დიპლომთან ერთად გაიცემა დიპლომის დანართი, რომელიც შევსებულია მოქმედი წესების დაცვით.

დანართი 1

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

----------ფაკულტეტი

გვარი სახელი

საბაკალავრო ნაშრომი

თემის დასახელება

ხელმძღვანელი: გვარი,სახელი
სამეცნიერო ხარისხი,
აკადემიური თანამდებობა.

თბილისი _____ (წელი)

დანართი 2.

საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი დაცვის კომისიის შეფასება- 60 ქულა

1. **თემის სიახლე და აქტუალურობა - ფასდება მაქსიმუმ 20 ქულა;**

კომისიის თითოეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კრიტერიუმით

20-15 ქულა - თემა თანამედროვეა, ინოვაციურია, საკვლევი თემის აქტუალობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და კვლევის შედეგებს აქვს განსაკუთრებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

14-10 ქულა - თემა თანამედროვეა, საკვლევი თემის აქტუალობა ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ აკლია სიცხადე, შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და კვლევის შედეგებს აქვს გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა

9-7 ქულა - თემა ნაკლებად აქტუალურია, საკვლევი თემის აქტუალობა ფორმულირებულია, მაგრამ სრულად არ არის გათვალისწინებული კონტექსტუალური ფაქტორები, შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან

6 – 3 ქულა - საკვლევი თემის აქტუალობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული, შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან

2-1 ქულა - საკვლევი თემის აქტუალობა ფორმულირებულია არაკვალიფიციურად, კონტექსტუალური

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	

ყველა კომპონენტის ჯამი

2. **საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია**

ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით

კომისიის თითოეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კრიტერიუმით

10 -9 ქულა- გამოყენებული მასალა (მათ შორის, უცხოენოვანი) რელევანტურია და წარმოდგენილია მხოლოდ დარგის მნიშვნელოვანი პუბლიკაციებით, სპეციალიზებული მონოგრაფიებით და სასწავლო სახელმძღვანელოებით

8-7 ქულა- გამოყენებული მასალა რელევანტურია და მისი ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია პუბლიკაციებით და სპეციალიზებული მონოგრაფიებით, რიგ შემთხვევებში გამოყენებულია სასწავლო სახელმძღვანელოები

6-5 ქულა გამოყენებული მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია პუბლიკაციებით და სპეციალიზებული მონოგრაფიებით, ამასთან ერთად გამოყენებულია დაბალი ხარისხის პუბლიკაციები და სასწავლო სახელმძღვანელოები, რიგ შემთხვევებში რელევანტურობის ხარისხი დაბალია.

4-3 ***ქულა*** - გამოყენებული მასალის მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდგენილი რეფერირებადი პუბლიკაციებით და სპეციალიზებული მონოგრაფიებით, მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია დაბალი ხარისხის პუბლიკაციებით და სასწავლო სახელმძღვანელოებით, ხშირ შემთხვევებში რელევანტურობის ხარისხი დაბალია.

2-1 ქულა - გამოყენებული მასალა წარმოდგენილია დაბალი ხარისხის პუბლიკაციებით და სასწავლო სახელმძღვანელოებით, ხშირ შემთხვევებში რელევანტურობის ხარისხი დაბალია.

0 ქულა -გამოყენებული მასალა არ არის რელევანტური

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
ყველა კომპონენტის ჯამი					

3. საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი -ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით.

კომისიის თითოეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კრიტერიუმით

10-9 ქულა - წყაროები საკვლევი თემატიკის რელევანტურია, უახალესია და წარმოადგენს მაღალი დონის სამეცნიერო ორიგინალურ (მათ შორის, უცხოენოვან) პუბლიკაციებს და სპეციალიზებულ მონოგრაფიებს, ვლინდება წყაროებისადმი კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარი.

8-7 ქულა - წყაროები საკვლევი თემატიკის რელევანტურია, ახალია და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, წარმოადგენს რეფერირებად სამეცნიერო პუბლიკაციებსა და სპეციალიზებულ მონოგრაფიებს, ვლინდება წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომა და მათი სინთეზის უნარი.

6-5 ქულა- წყაროები თემატიკის რელევანტურია, მათი დიდი ნაწილი წარმოადგენს დაბალი სამეცნიერო ხარისხის პუბლიკაციებსა და სასწავლო სახელმძღვანელოებს, საკმარისად ვლინდება წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომა და მათი სინთეზის უნარი.

4-3 ქულა- წყაროები შერჩეულია თემატიკის შესაბამისად, მცირე რაოდენობით მოიცავს სამეცნიერო პუბლიკაციებს, ნაწილობრივ ვლინდება წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომა და მათი სინთეზის უნარი.

2-1 ქულა გამოყენებული წყაროების სია მწირია, მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება კვლევის თემატიკას, თითქმის არ მოიცავს სამეცნიერო პუბლიკაციებს, ვერ ვლინდება გამოყენებული წყაროების სინთეზის უნარი,

0 ქულა - გამოყენებული წყაროები არ არის წარმოდგენილი ან წყაროები არ შეესაბამება კვლევის თემატიკას

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
ყველა კომპონენტის ჯამი					

4. პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა ფასდება მაქსიმუმ 10

კომისიის თითოეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კრიტერიუმით

10-9 ქულა - კვლევის მიზანი ინოვაციურია, ზუსტადაა განსაზღვრული, კვლევის პრობლემატიკა ნათლადაა განსაზღვრული და სრულად შეესაბამება კვლევის მიზანს, კვლევის აქტუალობა დასაბუთებულია სიღრმისეული შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე

8-7 ქულა - კვლევის მიზანი მკაფიოდაა განსაზღვრული, საკვლევი პრობლემები კარგად არის ჩამოყალიბებული და კვლევის მიზნის შესაბამისია, კვლევის აქტუალობა სღრმისეულადაა შესწავლილი, თუმცა შესაბამისი კრიტიკული ანალიზი არასრულია

6-5 ქულა - კვლევის მიზანი საკმარისადაა განსაზღვრული, საკვლევი პრობლემები გასაგებად არის ჩამოყალიბებული და ძირითადად კვლევის მიზნის ადექვატურია, კვლევის აქტუალობის დასაბუთება დამაკმაყოფილებელია

4-3 ქულა - ნათლადაა განსაზღვრული, მაგრამ საკვლევი პრობლემები არ არის კვლევის მიზნის ადექვატური, მათი განმარტება ბუნდოვანია, კვლევის აქტუალობის დასაბუთება ზედაპირულია ან ნაწილობრივ არალოგიკური.

2-1- ქულა - კვლევის მიზანი ბუნდოვანია ან პრობლემატიკა არასაკმარისი სიზუსტით არის განსაზღვრული. კვლევის აქტუალობის დასაბუთება არასაკმარისია ან არ არის წარმოდგენილი.

0 ქულა - კვლევის მიზანი და პრობლემატიკა არ არის წარმოდგენილი ან არაადეკვატურია					
კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
ყველა კომპონენტის ჯამი					

5. **ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა -ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით.**

კომისიის თითოეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კრიტერიუმით

10-9 ქულა - სრულყოფილადაა დაცული აკადემიური სტილი, წარმოდგენილია ნაშრომის სრულყოფილი რეზიუმე, პარაგრაფების დასათაურება სრულად შეესაბამება შინაარსს, გამოყენებული ლიტერატურის მითითება კორექტულია

8-7 ქულა - დაცულია აკადემიური სტილი, ნაშრომის კარგად გამართული რეზიუმე, პარაგრაფების დასათაურება სრულად შეესაბამება შინაარსს, გამოყენებული ლიტერატურის მითითება ძირითადად კორექტულია

6-5 ქულა გაფორმების ენა და სტილი ძირითადად კორექტულია, დამაკმაყოფილებლად წარმოდგენილია ნაშრომის რეზიუმე, პარაგრაფების დასათაურების შესაბამისობა შინაარსთან დამაკმაყოფილებელია, გამოყენებული ლიტერატურის მითითება ძირითადად კორექტულია

4-3 ქულა - გაფორმების ენა და სტილი ნაწილობრივ კორექტულია, არადამაკმაყოფილებლად არის წარმოდგენილი ნაშრომის რეზიუმე, პარაგრაფების დასათაურების შესაბამისობა შინაარსთან არადამაკმაყოფილებელია, გამოყენებული ლიტერატურის მითითება მხოლოდ ნაწილობრივაა კორექტული

2-1- ქულა- გაფორმების ენა და სტილი, აგრეთვე რეზიუმე შეიცავს მრავლობით შეცდომებს, პარაგრაფების დასათაურება არალოგიკურია, გამოყენებული ლიტერატურის მითითება არაკორექტული.

0 ქულა - ნაშრომის გაფორმება ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
ყველა კომპონენტის ჯამი					

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის კომისიის შეფასება - 40 ქულა

1. **წარმოდგენილი ნაშრომის აგებულება ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით.**

კომისიის თითოეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კრიტერიუმით

10-9 ქულა- ნაშრომის აგებულება შეესაბამება სტანდარტს, სრულყოფილადაა დაცული აკადემიური სტილი, პარაგრაფების, თავების, ქვეთავები დასათაურება სრულად სეესაბამება შინაარს,გამოყენებული ლიტერატურის მითითება კორექტულია.

8-7 ქულა -ნაშრომის აგებულება შეესაბამება სტანდარტს, დაცულია აკადემიური სტილი, პარაგრაფების დასათაურება სრულად შეესაბამება შინაარსს, გამოყენებული ლიტერატურის მითითება ძირითადად კორექტულია

6-5 ქულა- გაფორმების ენა და სტილი ძირითადად კორექტულია, პარაგრაფების დასათაურების შესაბამისობა შინაარსთან დამაკმაყოფილებელია, გამოყენებული ლიტერატურის მითითება ძირითადად კორექტულია

4-3 ქულა -გაფორმების ენა და სტილი ნაწილობრივ კორექტულია, პარაგრაფების დასათაურების შესაბამისობა შინაარსთან არადამაკმაყოფილებელია, გამოყენებული ლიტერატურის მითითება მხოლოდ ნაწილობრივაა კორექტული.

2-1 ქულა - გაფორმების ენა და სტილი შეიცავს მრავლობით შეცდომებს, პარაგრაფების დასათაურება არალოგიკურია, გამოყენებული ლიტერატურის მითითება არაკორექტულია

0 ქულა - ნაშრომის გაფორმება ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი

ყველა კომპონენტის ჯამი					

2. პრეზენტაციის ტექნიკური მხარე ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით.

კომისიის თითოეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კრიტერიუმით

5 ქულა- *პრეზენტაცია მაღალ დონეზეა შესრულებული, გამოყენებული ტექნოლოგიები პასუხობს სტანდარტებს,* საკითხის კვლევის ისტორია მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, სიღრმისეულად გაანალიზებული და შეფასებული.

4 ქულა- *პრეზენტაცია კარგად არის შესრულებული, გამოყენებული ტექნოლოგიები პასუხობს სტანდარტებს,* საკითხის კვლევის ისტორია კარგად არის ჩამოყალიბებული, გაანალიზებასა და შეფასებას აკლია სიღრმისეულობა.

3 ქულა *პრეზენტაცია დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, გამოყენებული ტექნოლოგიები ნაწილობრივ პასუხობს სტანდარტებს,* საკითხის კვლევის ისტორია დამაკმაყოფილებლად არის ჩამოყალიბებული, არ არის გაანალიზებული და შეფასებული

2 ქულა - *პრეზენტაცია არაკვალიფიციურად არის შესრულებული,* საკითხის კვლევის ისტორია ზედაპირულად არის ჩამოყალიბებული, არ არის გაანალიზებული და შეფასებული.

1 ქულა - *პრეზენტაცია ცუდად არის შესრულებული, დაშვებულია შეცდომები,* საკითხის კვლევის ისტორია არაკვალიფიციურად არის ჩამოყალიბებული, არ არის გაანალიზებული და შეფასებული

0 ქულა -*პრეზენტაცია არ არის შესრულებული,* საკითხის კვლევის ისტორია არ არის წარმოდგენილი.

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
ყველა კომპონენტის ჯამი					

3. მსჯელობა, კითხვებზე და შენიშვნებზე გაცემული პასუხები -ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით.

კომისიის თითოეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კრიტერიუმით

15-13 ქულა - ტერმინოლოგიის ფლობა სრულყოფილია, დისკუსიაში მონაწილეობა არის ეფექტური, ხოლო მსჯელობა თანამიმდევრული. თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად.

12-10 ქულა - ტერმინოლოგიის ფლობა სრულია, დისკუსიაში მონაწილეობა და მსჯელობა თანამიმდევრულია, თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია სრულად, მაგრამ არაამომწურავად.

9-7 ქულა -საკმარისად ფლობს პროფესიულ ტერმინოლოგიას, დისკუსიაში მონაწილეობა და მსჯელობა ნაკლებად თანამიმდევრულია, თემის შინაარსი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული

6-3 ქულა- მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია. თემის შინაარსი არა დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული.

2-1 ქულა -მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული, ვერ ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს

0 ქულა - სტუდენტმა ვერ შეძლო თემის დაცვა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის.

კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
ყველა კომპონენტის ჯამი					

4. პრეზენტაციის ვერბალური მხარე -ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით

კომისიის თითოეული წევრი აფასებს ნაშრომს შემდეგი კრიტერიუმით

10-9 ქულა - გამოყენებული მასალა (მათ შორის, უცხოენოვანი) რელევანტურია და წარმოდგენილია მხოლოდ რეფერირებადი პუბლიკაციებით და სპეციალიზებული მონოგრაფიებით (არ არის გამოყენებული სასწავლო სახელმძღვანელოები),ციტირების ინდექსი მაღალია.

8-7 ქულა - გამოყენებული მასალა რელევანტურია და მისი ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია რეფერირებადი პუბლიკაციებით და სპეციალიზებული მონოგრაფიებით (რიგ შემთხვევებში გამოყენებულია სასწავლო

სახელმძღვანელოები),-ციტირების ინდექსი კარგია. ***6-5 ქულა*** - გამოყენებული მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია რეფერირებადი პუბლიკაციებით და სპეციალიზებული მონოგრაფიებით, ამასთან ერთად გამოყენებულია დაბალი ხარისხის პუბლიკაციები და სასწავლო სახელმძღვანელოები, რიგ შემთხვევებში რელევანტურობის ხარისხი დაბალია, ციტირების ინდექსი დაბალია. **4-3 ქულა** -გამოყენებული მასალის მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდგენილი რეფერირებადი პუბლიკაციებით და სპეციალიზებული მონოგრაფიებით, მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია დაბალი ხარისხის პუბლიკაციებით და სასწავლო სახელმძღვანელოებით, ხშირ შემთხვევებში რელევანტურობის ხარისხი დაბალია, ციტირების ინდექსი დაბალია,. **2-1 ქულა**-გამოყენებული მასალა წარმოდგენილია დაბალი ხარისხის პუბლიკაციებით და სასწავლო სახელმძღვანელოებით, ხშირ შემთხვევებში რელევანტურობის ხარისხი დაბალია, ციტირების ინდექსი ძალიან დაბალია **0 ქულა** -გამოყენებული მასალა არ არის რელევანტური					
კომისიის წევრი #1	კომისიის წევრი #2	კომისიის წევრი #3	კომისიის წევრი #4	კომისიის წევრი #5	ჯამი
ყველა კომპონენტის ჯამი					